

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება N

--ივნისი 2021 წელი

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის N69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ემუხლის მე-2 პუნქტის, ამავე კოდექსის 24-ემუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის N69 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცებულ იქნეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით:

- ა) ზურაბ ნაკაიძე _ კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) დავით მახარაძე _ კომისიის წევრი;
- გ) ირაკლი თოფურიძე _ კომისიის წევრი;
- დ) ანზორ დევაძე _ კომისიის წევრი;
- ე) მუხამედ ართმელაძე_კომისიის წევრი;
- ვ) თამაზ სალუქვაძე _ კომისიის წევრი;
- ზ) გოჩა მგელაძე - კომისიის წევრი;
- თ) გელა დეკანაძე - კომისიის წევრი.“.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი:

წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 02 ივნისს საკრებულოს წევრ ლევან ანთაძის მიერ წარმოდგენილი N19/15211533-15 განცხადებით, რომლის თანახმადაც მან მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გასვლის შესახებ, შესაბამისად მიზანშეწონილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების შეტანა და ლევან ანთაძის გასვლა კომისიის შემადგენლობიდან.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

ბ.ბ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის იურიდიული განყოფილების
უფროსი

ირაკლი თავართქილაძე